ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“ -ს შორის

წეროვანი 18 მაისი 2018 წელი

ერთი მხრივ, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში გამგეობა) წარმოდგენილი მისი გამგეგლის - **ნუგზარ თინიკაშვილის** სახით;

მეორე მხრივ, შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში უნივერსიტეტი), (ს/კ 206046045) წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის მრჩევლის, იურიდიული კლინიკის ხელმძღვანელის **ნათია ქაჯაიას** სახით, ხელს ვაწერთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, შემდეგზე

მუხლი 1.

მხარეთა თანამშრომლობის მიზანი:

ა)ახალგორის მუნიციპალიტეტის დევნილი მოსახლეობისათვის უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევა უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის იურიდიულ კლინიკაში;

ბ)ახალგორის მუნიციპალიტეტის დევნილი მოსახლეობისათვის გარკვეული კატეგორიის საქმეებზე უფასო იურიდიული მომსახურების გაწევა უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის იურიდიულ კლინიკის მიერ;

გ) უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტების დახმარება მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მიზნით;

ე) მხარეების მიერ ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და თანამშრომლობა.

მუხლი 2.

მხარეთა შორის თანამშრომლობა განხორციელდება შემდეგი ფორმით:

ა) ახალგორის მუნიციპალიტეტის დევნილი მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევა განხორციელდება შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის“ სამართლის ფაკულტეტის იურიდიულ კლინიკაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N31.

ბ) ახალგორის მუნიციპალიტეტის დევნილი მოსახლეობა ინფორმირებული იქნება უნივერსიტეტის საკონტაქტო ინფორმაციით, მსურველებს შეეძლებათ ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდნენ იურიდიულ კლინიკას და საჭიროების შენთხვევაში დაგეგმონ შეხვედრის დრო იურიდიული კონსულტაციის/მომსახურების მისაღებად იურიდიულ კლინიკაში.

გ) ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა და უნივერსიტეტი ერთობლივად უზრუნველყოფენ დევნილი მოსახლეობის ინფორმირებას (პლაკატები, ფლაერები, საინფორმაციო დაფა, ადგილობრივი გაზეთი, ვებ-გვერდი);

დ) მხარეები ერთობლივად დაგეგმავენ სხვადასხვა ღონისძიებებს დასახული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 3.

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შევიდეს ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 4.

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ მის გაუქმებამდე.

მუხლი 5.

მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა
მისამართი: იურიდიული: დაბა ახალგორი,
თამარ მეფის ქ. N32, ფაქტიური:
მცხეთის მუნიციპალიტეტი,
წეროვანის დევნილთა დასახლება,
ადმინისტრაციული შენობა.

ვებ–გვერდი:http://akhalgori.org.ge

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი
ნუგზარ თინიკაშვილი

შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“
მის: ბერი გაბრიელ სალოსის გამზ №53;
ტელ: (995 32) 299 01 64

საქართველო ქ. თბილისი, 0113

ტელ: (+995 32) 2 54 59 08

ელ–ფოსტა: thu-posta@thu.

ვებ–გვერდი: thu.edu.ge

შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის“რექტორის მრჩეველი, სამართლის ფაკულტეტის იურიდიული კლინიკის ხელმძღვანელი
ნათია ქაჯაია